UDC 32
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-1-241-248

ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ევოლუციის ძირითადი ისტორიული ეტაპები

თამარ მუჯირი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: Mujiri.tamar@gtu.ge

რეცენზენტები:

ა. კიკნაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: a_kiknadze@gtu.ge

თ. კიკნაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: tamara_kiknadze@yahoo.com

ანოტაცია. წინამდებარე სტატიაში განხილულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და ევოლუციის კანონზომიერებები, გაანალიზებულია მისი ევოლუციის ისტორიული ეტაპები და მთავარ საერთაშორისო აქტორებთან ურთიერთობის დინამიკა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობის სამოცდაათწლიან პერიოდში გამოყოფილია საგარეო პოლიტიკის ოთხი ძირითადი ეტაპი. კერძოდ, მაო ძედუნის რევოლუციური დიპლომატია, დენ სიაოპინის განვითარებაზე ორიენტირებული დიპლომატია და „ჩრდილში ყოფნის“ სტრატეგია, რომელიც გააგრძელეს მისმა მემკვიდრეებმა ძიანგ ძემინმა და ხუ ძინთაომ, დაბოლოს, სახელმწიფოს ამჟამინდელი მეთაურის - სი ძინფინგის „დიდი ძალის დიპლომატია“. სტატიაში წარმოდგენილია თითოეული ეტაპის საერთაშორისო, შიგაპოლიტიკური და ისტორიული კონტექსტი, მოცემულია ჩინეთის ძირითად საერთაშორისო აქტორებთან ურთიერთობების ევოლუციის ანალიზი, განხილულია ჩინეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის კონცეფციები და სახელმძღვანელო პრინციპები, ძირითადი მიმართულებები, პრიორიტეტები და მიზნები.

საკვანძო სიტყვები: „დიდი ძალის დიპლომატია“; მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი; ჩინეთის საგარეო პოლიტიკა; „ჩრდილში ყოფნის სტრატეგია“.

შესავალი

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესასწავლად და მისი პრიორიტეტების განსაზღვრისთვის, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ჩინეთის საგარეო ურთიერთობების კვლევისას გასათვალისწინებელია ეროვნული ინტერესები, საერთაშორისო, შიგაპოლიტიკური და ისტორიული კონტექსტი. ამაზე დაყრდნობით წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ევოლუციის კანონზომიერებები და ისტორიული ეტაპები.

ძირითადი ნაწილი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ არსებობა საერთაშორისო იზოლაციით დაიწყო. ცივი ომის პერიოდში, ტრუმენის დოქტრინამ და სსრკ-აშშ-ის დაპირისპირებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია მის საერთაშორისო სტატუსზე. არსებობის პირველი ოცი წელი ჩინეთისთვის ქაოსური და გამოწვევებით აღსავსე იყო, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. დაარსებიდან მეორე წელსვე, იგი კორეის ომში ჩაება, რითაც ერთ-ერთ ზესახელმწიფოს - აშშ-ს[1] ღიად დაუპირისპირდა. კორეის ნახევარკუნძულზე განვითარებულმა მოვლენებმა, აშშ-ს გომინდანთან (ჩინეთის ეროვნული პარტია), რომელიც სამოქალაქო ომში მარცხის შემდეგ კუნძულ ტაივანზე გაიქცა და ჩინეთის რესპუბლიკა დააარსა, ურთიერთობის გამყარებისკენ უბიძგა. აშშ-ის ჩარევამ ტაივანის სრუტეში უთანხმოების მოგვარება და ქვეყნის გაერთიანება რთულ ამოცანად აქცია [1, გვ. 134-135]. ტაივანის საკითხი ჩინეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება დღემდე.

XX ს-ის 50-იან წლებში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის მიზანი კომუნისტურ ბლოკთან დაახლოება იყო. მაოს მიაჩნდა, რომ ქვეყნის უსაფრთხოება კომუნისტურ ბანაკთან ახლო პოლიტიკურ და სამხედრო ალიანსზე იყო დამოკიდებული. შესაბამისად, 1950 წლის 14 თებერვალს ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის, მოკავშირეობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გაფორმდა [2, გვ. 374-382].

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროიდან ჩნდება „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი“, რომელიც ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია.[2] „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი“ თავდაპირველად ჩინეთსა და ინდოეთს შორის 1954 წელს დადებულ ხელშეკრულებაში ჩაიდო, ერთი წლის შემდეგ კი ბანდუნგის კონფერენციის დეკლარაციაშიც აისახა და „მიუმხრობლობის მოძრაო-

[1] ოფიციალურად აშშ გაეროს დროშის ქვეშ მოქმედებდა.

[2] „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი“ ჩინეთის საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპია, რომელიც ვესტფალიური წესრიგის ერთგვარი შეჯამებაა, კერძოდ, ესენია: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა, თავდაუსხმელობა, ერთმანეთის შიგა საქმეებში ჩაურევლობა, სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა და ყველა მხარისათვის მომგებიანი თანამშრომლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა.

ბის“ საფუძვლადაც იქცა [3]. 1955 წლის ბანდუნგის კონფერენცია იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ჩინეთმა საკუთარი საერთაშორისო იდენტობა „მესამე სამყაროს“ დაუკავშირა. განვითარებად ქვეყნებთან კავშირები ჩინეთის დიპლომატიის უცვლელი ელემენტია. დღემდე იგი საკუთარ საერთაშორისო იდენტობას განვითარებად სამყაროს უკავშირებს და ამ ქვეყნების ინტერესების დამცველის როლს ირგებს. ბანდუნგის კონფერენციაზე მიღწეული წარმატების მიუხედავად, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ჩინეთს საერთაშორისო იზოლაციის დაძლევის საშუალება არ მისცა. პირიქით, შემდეგ პერიოდში იგი ერთადერთ დიდ მოკავშირეს - საბჭოთა კავშირსაც დაუპირისპირდა.

მაოს რევოლუციურმა ინიციატივებმა, ხრუშჩოვის „მშვიდობიანი თანაარსებობის“ პოლიტიკამ აშშ-თან, 1958 წლის ტაივანის სრუტის კრიზისმა დაძაბულობა შეიტანა ჩინეთ-სსრკ-ის ურთიერთობებში და საბოლოოდ, 1960 წელს გახლეჩა გამოიწვია, რამაც ჩინეთი ერთდროულად ორივე ზესახელმწიფოს დაუპირისპირა. იგი სრულიად იზოლირებულ და არასტაბილურ მდგომარეობაში აღმოჩნდა [4, გვ. 43].

ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ჩინეთმა აშშ-თან ურთიერთობის აღდგენა გადაწყვიტა. ე.წ. „პინგ-პონგის დიპლომატიისა“ და კულისებსმიღმა დიპლომატიური კონტაქტების შედეგად, რომელშიც განსაკუთრებული როლი შეასრულა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მრჩევლის ჰენრი კისინჯერის საიდუმლო ვიზიტმა პეკინში, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი დაიწყო, რომლის კულმინაცია იყო ნიქსონის ისტორიული ვიზიტი 1972 წელს. მხარეებმა ურთიერთობის ნორმალიზებაზე შეთანხმებას მიაღწიეს, რაც შანხაის კომუნიკეში აისახა. ჩინეთმა და აშშ-მა შეძლეს პოლიტიკური დაძაბულობის შენელება და საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ ინტერესთა გაერთიანება [1, გვ. 226-240].

ნიქსონის ვიზიტის შედეგად ე.წ. „სტრატეგიული სამკუთხედი“ ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი შედარებით ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყანა იყო, აშშ-ისა და სსრკ-ის შემდეგ იგი მესამე, ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ აქტორად იქცა მსოფლიოში. ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთობის დათბობამ გაეროში სახალხო რესპუბლიკის მიერ ტაივანის ჩანაცვლებას და სხვა აქტორების მიერ მის აღიარებას შეუწყო ხელი. ამით დაიწყო ჩინეთის არსებულ, აშშ-ის მიერ დომინირებულ საერთაშორისო სისტემაში ინტეგრაციის პროცესი.

რომ შევაჯამოთ, მაოს პერიოდის საგარეო პოლიტიკაზე გავლენა იქონია ჩინეთის სამოქალაქო ომმა, მეორე მსოფლიო ომმა, კორეის ომმა და ცივმა ომმა. მაო თავდასხმითი რეალიზმის გამტარებელი იყო. მას სჯეროდა, რომ „პოლიტიკური ძალაუფლება იარაღის ლულიდან იზრდება“. მისი საშინაო პოლიტიკა ორიენტირებული იყო კლასობრივ ბრძოლაზე, საგარეო პოლიტიკის წამყვან ხაზს კი რევოლუციური დიპლომატია წარმოადგენდა.

1978 წელს, მაოს მემკვიდრის, დენ სიაოპინის მიერ ახალი დიდი სტრატეგიის - „რეფორმებისა და გახსნილობის“ პოლიტიკის შემოღებით, ჩინეთის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. XX ს-ის 70-იანი წლების მიწურულს, ჩინეთმა გარე სამყაროს კარი გაუღო. ამით საზოგადოებასა და ეკონომიკაში ლიბერალიზაციისა და ექსპერიმენტების პერიოდი დაიწყო. ჩამოყალიბდა საბაზრო ლიბერალიზაციისა

და გეგმური ეკონომიკის კომბინირებული მოდელი, რომელსაც დღეს ვიცნობთ სახელწოდებით – „სოციალიზმი ჩინური სპეციფიკით“. დენი იდეოლოგიურ და რევოლუციურ ხაზს პრაგმატიზმსა და რეალიზმს ამჯობინებდა. „განვითარება“ მისი პოლიტიკის ლაიტმოტივად იქცა [2, გვ. 499-503].

დენ სიაოპინმა შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის ნორმალიზების პროცესი დააჩქარა, რასაც თავის მხრივ, სსრკ-ის მიერ ავღანეთის ოკუპაციამაც შეუწყო ხელი. 1979 წლის 1 იანვარს აშშ-სა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ოფიციალურად დამყარდა, რასაც მოჰყვა დენის ვიზიტი შტატებში. იგი იყო ჩინეთის ისტორიაში პირველი ლიდერი, რომელიც იაპონიას ვიზიტით ეწვია და იმპერატორს შეხვდა. 1978 წლის ვიზიტის დროს მან იაპონიასთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა. იგი სსრკ-სთან ურთიერთობის აღდგენასაც შეეცადა. 1989 წელს მან პეკინში გორბაჩოვს უმასპინძლა [2, გვ. 504-505]. ჩინეთი თანდათან საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვანი წევრი გახდა. მან აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან არაერთი ეკონომიკური შეთანხმება დადო, შეუერთდა საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკსა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებს.

თუმცა, 1989 წლის 4 მაისს, დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე - თიენანმენზე სტუდენტების მასობრივი პროტესტის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემდეგ, ჩინეთი ისევ საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა. აშშ-მა და სხვა ქვეყნებმა მას სანქციები დაუწესეს. იმავდროულად, ბერლინის კედლის ნგრევამ და საბჭოთა იმპერიის დაშლამ ჩინეთ-აშშ-ის კავშირს სტრატეგიული საფუძველი გამოაცალა. დასავლეთში სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება თეორიები „ჩინური საფრთხის“ შესახებ. [2, გვ. 537-538]

თიენანმენის მოვლენების შემდეგ საერთაშორისო წნეხის შესამსუბუქებლად და საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული გაურკვევლობის დასაბალანსებლად, დენ სიაოპინმა „ჩრდილში ყოფნის“ საგარეო სტრატეგია განავითარა [5, გვ. 18-21]. რომლითაც ხელმძღვანელობდნენ მისი მემკვიდრეები - ძიანგ ძემინი და ხუ ძინთაო.

საგარეო ურთიერთობებში ჩინეთმა ყურადღება ურთიერთობების დივერსიფიკაციასა და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატზე გადაიტანა. ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო გარემოს შენარჩუნება ჩინეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად იქცა. 90-იანი წლებისათვის ჩინეთის საგარეო პოლიტიკა მულტილატერალიზმზე ორიენტირებული გახდა. მან ამერიკასთან და სხვა წამყვან სახელმწიფოებთან სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება და მრავალმხრივი ინსტიტუტების ფარგლებში თანამშრომლობა დაიწყო. იგი აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმში (APEC) გაწევრიანდა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) პარტნიორი გახდა. 1995 წლიდან ევროკავშირთან ურთიერთობები აქტიური განვითარების ფაზაში შევიდა. საბჭოთა კავშირის დაშლიდან მალევე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთანაც დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები, მათ შორის, საქართველოსთან 1992 წლის 9 ივნისს. 1996 წელს რუსეთის პრეზიდენტის

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

ბორის ელცინის პეკინში ვიზიტის დროს კი ჩინეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება გაფორმდა. პეკინსა და მოსკოვს შორის მრავალწლიანი სასაზღვრო კონფლიქტი მოგვარდა. 1996 წელს ჩინეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ლიდერები შანხაიში შეხვდნენ სასაზღვრო დავის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად. „შანხაის ხუთეულის“ უსაფრთხოების რეჟიმი შემდგომ პერიოდში განვითარდა და 2001 წელს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციად (SCO) გარდაიქმნა. ჩინეთმა მსოფლიოს ყველა რეგიონთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები დაამყარა, რითაც მისი გლობალური გავლენა გაიზარდა.

1997 წელს ჰონკონგი, ხოლო 1999 წელს მაკაო ჩინეთის იურისდიქციის ქვეშ დაბრუნდა, რაც ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. შედეგად, შეიქმნა „ერთი ქვეყანა, ორი სისტემის“ მოდელი.

დენ სიაოპინის პერიოდში დაწყებული რეფორმები მისმა მემკვიდრეებმა ძიანგ ძემინმა და ხუ ძინთაომ გააგრძელეს, რასაც მოჰყვა „ეკონომიკური სასწაული“. ჩინეთის აღმავალი ეკონომიკა გლობალურ ბაზარში ინტეგრირდა, რომლის კულმინაცია იყო 2001 წელს მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში გაწევრება. ჩინეთს სულ რაღაც ოთხი ათწლეული დასჭირდა იმის მისაღწევად, რასაც განვითარებულმა ქვეყნებმა საუკუნეები მოანდომეს. 1978 წელს, რეფორმებისა და გახსნილობის პოლიტიკის დაწყებისას, მშპ ერთ სულ მოსახლეზე 156 აშშ დოლარს შეადგენდა. სულ რაღაც ორმოცწლიან პერიოდში, ჩინეთმა ეს მაჩვენებელი 50-ჯერ გაზარდა. 2021 წელს მშპ-ის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 12 000 აშშ დოლარზე მეტი იყო [6].

ძიანგისა და ხუს საგარეო პოლიტიკა, მათი წინამორბედის მსგავსად, განვითარებაზე იყო ორიენტირებული. მათი მთავარი მიზანი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის უზრუნველყოფა იყო. ისინი აქტიურად მუშაობდნენ ჩინეთის გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისათვის და ქვეყნის მოდერნიზებისთვის მშვიდობიანი და ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. შიგა ეკონომიკურ განვითარებაზე პრიორიტეტის დასმამ, რეალიზმისათვის დამახასიათებელი ძალთა ბალანსის გეოპოლიტიკამ და საერთაშორისო ეკონომიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ, ძიანგისა და ხუს პერიოდში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრულობა განაპირობა და მისი საერთაშორისო ქცევა პრაგმატული და პროგნოზირებადი გახადა.

2012 წელს მართვის სადავეები სი ძინფინგმა გადაიბარა. ახალი ხელისუფლების წინაშე წინამორბედებისგან განსხვავებული პრობლემები დადგა. ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებამ, რაც უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მინიმუმზე დავიდა, ჩინეთი ექსპორტით სტიმულირებული მაღალი ზრდის ტემპიდან - შიგა მოთხოვნითა და ტექნოლოგიური ინოვაციით სტიმულირებულ უფრო მდგრადი განვითარების მოდელზე გადასვლის აუცილებლობის წინაშე დააყენა [7, გვ. 95-96].

პარტიის სათავეში მოსვლიდან მალევე, სი ძინფინგმა „ჩინური ოცნების“ კონცეფცია წამოაყენა, რომლის მიზანიც „ჩინელი ერის დიადი აღორძინებაა“ [8]. ეს ლოზუნგი დღევანდელი ჩინეთის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ეკონომიკური მდგომარეობის საპირწონე პოლიტიკური ძალაუფ-

ლების მიღწევა სის უცვლელი სტრატეგიული პრიორიტეტია [9].

„ჩინური ოცნების“ კონცეფციის შემუშავებიდან ერთი წლის თავზე, სი საუკუნის ყველაზე ამბიციური პროექტით - „სარტყლისა და გზის“ ინიციატივით გამოვიდა, რომლის მიზანი ევრაზიის რეგიონში ეკონომიკური კავშირებისა და თანამშრომლობის გაძლიერება იყო. თუმცა, ინიციატივის მასშტაბები უკვე რეგიონის საზღვრებს გასცდა. 2022 წლის მიწურულს მასში მონაწილე ქვეყნების რაოდენობამ 150-ს მიაღწია [10]. საქართველო ერთ-ერთი პირველი შეუერთდა „სარტყლისა და გზის“ ინიციატივასა და მის ფარგლებში შექმნილ საერთაშორისო ინსტიტუტებს - აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკსა (AIIB) და აბრეშუმის გზის ფონდს.

მმართველობის დასაწყისშივე, სი ძინფინგმა პოლიტიკური იდეოლოგიის გაძლიერება დაიწყო. ანტიკორუფციული და „ჩინური ოცნების“ კამპანიით მან წინამორბედებთან შედარებით ძალაუფლების დიდი ხარისხით კონსოლიდირება მოახერხა. სი ძინფინგი თანასწორთა შორის პირველობიდან - 2016 წლისთვის უკვე პარტიის „ბირთვად“ იქცა, რაც მისი ძალაუფლების გაძლიერების კიდევ ერთი დამატებითი ნიშანი იყო. ბოლო წლებში, სი ძინფინგის პოზიცია კიდევ უფრო გაიზარდა. 2017 წელს, „სი ძინფინგის ნააზრევის“ პარტიის კონსტიტუციაში შეტანით, მისი სტატუსი მაო ძედუნისა და დენ სიაოპინისას გაუთანაბრდა. 2018 წელს გატარებული საკონსტიტუციო ცვლილებით ცხადი გახდა, რომ სი ძინფინგი პარტიისა და ქვეყნის გაძღოლას მესამე და შესაძლოა, მეოთხე ვადითაც გააგრძელებდა [7, გვ. 23-24], რაც პარტიის მე-20 ყრილობაზე მისი გენერალური მდივნის თანამდებობაზე და 2023 წლის მარტში მესამე საპრეზიდენტო ვადით არჩევით კიდევ ერთხელ დადასტურდა.

ძალაუფლების ცენტრალიზაციამ და ქვეყნის შიგნით ყველა სექტორზე კონტროლის გამკაცრებამ, სის საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ეკონომიკური გავლენის გამოყენებისა და უფრო თავდაჯერებული და ამბიციური საგარეო პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა. წინამორბედებისგან განსხვავებით, რომლებიც დენ სიაოპინის „ჩრდილში ყოფნის“ სტრატეგიით ხელმძღვანელობდნენ, მისი საგარეო პოლიტიკა ბევრად უფრო თავდაჯერებულია. შეიძლება ითქვას, რომ სი „დიდი ძალის დიპლომატიაზე“ გადავიდა. ჩინეთის აქტივობა და გავლენა საერთაშორისო ინსტიტუტებსა და გლობალურ მმართველობაში თანდათან მატულობს. იზრდება ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი და შესაძლებლობებიც.

სი ძინფინგის საგარეო პოლიტიკის სტანდარტული პარამეტრებია: სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და მრავალპოლუსიანი სამყარო. აქედან გამომდინარე, საგარეო ურთიერთობებში „წითელი ხაზი“, რომლის გადაკვეთასაც ჩინეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს არის ტაივანთან, ტიბეტთან, სინძიანგთან და ჰონგ კონგთან დაკავშირებული საკითხები. საერთაშორისო ურთიერთობებში ჩინეთი ინარჩუნებს „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს“ [11]. იგი ასევე გამოდის „საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიზაციის“ ინიციატივით, რათა გაიზარდოს განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკური სტატუსი

[12]. სის საგარეო პოლიტიკა სამ ძირითად მიზანს ემსახურება: მაღალტექნოლოგიური წარმოებით სტიმულირებული მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური ძალაუფლების საპირწონე პოლიტიკური სტატუსი და მრავალპოლუსიანი სამყარო. ამ მიზნებთან დაკავშირებული კონცეფციებია „ჩინური ოცნება“, „ჩინური მოდელი“ და „საერთო მომავლის მქონე საზოგადოება“, ხოლო მათი მიღწევის ინსტრუმენტებია „ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობები“ და „სარტყლისა და გზის“ ინიციატივა.

დასკვნა

შეჯამების სახით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობის სამოცდაათწლიან პერიოდში შეგვიძლია გამოვყოთ საგარეო პოლიტიკის ოთხი ძირითადი ეტაპი. ესენია: მაოს რევოლუციური დიპლომატია, დენ სიაოპინის განვითარების დიპლომატია და „ჩრდილში ყოფნის“ სტრატეგია, რომელიც გააგრძელეს მისმა მემკვიდრეებმა ძიანგ ძემინმა და ხუ ძინთაომ, რომელსაც პრაქტიკაში ახორციელებდნენ საერთაშორისო ინსტიტუტებში ჩინეთის მზარდი ინტეგრაციითა და საგარეო პოლიტიკის მულტილატერალიზმზე ორიენტირებით. დაბოლოს, სი ძინფინგის „დიდი ძალის დიპლომატია“, რომელიც წინამორბედებისგან განსხვავებით, საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად ქმედითი ნაბიჯების გადადგმას არ ერიდება.

ცნობილი ჩინური ანდაზა გვასწავლის, „მდინარეზე გადასვლისას, ქვები ფეხით უნდა მოსინჯოო“. რეფორმებისა და გახსნილობის პერიოდიდან მოყოლებული, ეს ფრაზა ჩინეთში განსაკუთრებით პოპულარულია. დღემდე ჩინეთი წინდახედულად იქცევა. იგი თავის შესაძლებლობებსა და ამბიციებს ერთმანეთს უსადაგებს და ამის გათვალისწინებით, საერთაშორისო ასპარეზზე ხელთარსებული რესურსების მიხედვით მოქმედებს, ქვებს სათითაოდ სინჯავს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ.

ლიტერატურა

1. Kissinger, H. (2011). *On China*. Penguin Press.;
2. Mühlhahn, K. (2019). *Making China Modern From the Great Qing to Xi Jinping.* The Belknap Press of Harvard University Press.;
3. Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China. (n.d). *China's Initiation of the Five Principles of Peaceful Co-Existence*. Retrieved from: https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/ziliao_665539/3602_665543/3604_665547/200011/t20001117_697812.html;
4. Shambaugh, D. (2020). *China & the World*. Oxford University Press.;
5. Brown, K. (2017). *China's World What Does China Want*. I.B.Tauris.;
6. The World Bank (n.d). *GDP per capita (current US$)*. Retrived from: https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=CN;
7. Economy, E. C. (2018). *The Third Revolution Xi Jinping and the New Chinese State*. Oxford University Press.;
8. The National People's Congress of the People's Republic of China (2012). *Achieving Rejuvenation Is the Dream of the Chinese People*.;

9. The State Council Information Office of the People's Republic of China (2018). *Xi urges breaking new ground in major country diplomacy with Chinese characteristics*. Retrived from: http://english.scio.gov.cn/topnews/2018-06/25/content_53360648.htm.
10. Belt and Road Portal (2022). *Numbers talk about jointly building the "Belt and Road" in 2022.* Retrieved from: https://www.yidaiyilu.gov.cn/xwzx/gnxw/299772.htm (In Chinese);
11. CPC News (2014). Carry forward the Five Principles of Peaceful Coexistence and build a better world of win-win cooperation. Retrieved from: http://cpc.people.com.cn/n/2014/0629/c87228-25213826.html (In Chinese);
12. CPC News (2022). Provide rule guarantees for the democratization of international relations. Retrieved from: http://theory.people.com.cn/n1/2022/0114/c40531-32331077.html (In Chinese).

UDC 32
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-1-241-248

The Main Historical Stages of the Evolution of China's Foreign Policy

Tamar Mujiri Academical Department of Politics and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: mujiri.tamar@gtu.ge

Reviewers:

K. Kiknadze, Doctor of Political Sciences, Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: a_kiknadze@gtu.ge
T. Kiknadze, Doctor of Political Sciences, Professor, Faculty of Law and International Relations, GTU
E-mail: tamara_kiknadze@yahoo.com

Abstract. Formation and evolution of the foreign policy of the People's Republic of China is examined. The historical stages of China's foreign policy and the dynamics of its interaction with the leading international actors is analyzed. During the seventy years of the PRC's existence, four main stages of foreign policy have been distinguished. In particular, the revolutionary diplomacy of Mao Zedong, the development-oriented diplomacy of Deng Xiaoping and his strategy of Maintaining Low Profile continued by his successors Jiang Zemin and Hu Jintao, and finally, Xi Jinping's the Major Country Diplomacy. The international, domestic and historical context of each stage is presented, the analysis of the evolution of China's relations with the key international actors is provided, and the concepts and guiding principles of China's modern foreign policy is examined, as well as its main course, priorities and goals.

Keywords: China's foreign policy; five principles of peaceful co-existence; major country diplomacy; strategy of maintaining low profile.

განხილვის თარიღი 04.01.2024
შემოსვლის თარიღი 25.01.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.03.2024